

საქართველო

კონსტიტუცია უზრუნველყოფს რელიგიურ თავისუფლებას და ასევე, სხვა კანონები და პოლიტიკის პრინციპები უმეტესწილად ხელს უწყობს რელიგიის თავისუფალ აღმსარებლობას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა მთავრობის მხრიდან რელიგიური თავისუფლების პრინციპებისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესებას და მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა რელიგიური თავისუფლების ხელშეწყობას აგრძელებდა. როდესაც მთავრობის ყურადღებამ ეროვნული თავდაცვის პრობლემებზე გადაინაცვლა, 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ, ჩანს, რომ რელიგიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული ახალი პოლიტიკური პროცედურების დანერგვა შენელდა. მიუხედავად ამისა, მთავრობამ შეძლო რელიგიური თავისუფლების საკითხზე პროგრესის გაკეთება, განსაკუთრებით განათლების დარგში.

გრძელდებოდა განცხადებები რელიგიური კუთვნილების, რწმენის ან აღმსარებლობის ნიადაგზე საზოგადოებაში შეურაცხყოფის მიყენებისა და დისკრიმინაციის შესახებ. ცნობების მიხედვით, დევნა-შევიწროების შემთხვევებს ადგილი ჰქონდა თბილისის გარეთ და მასში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი მოქალაქეები, მთავრობის ოფიციალური პირები და მართლმადიდებელი პროვოკატორები. სახალხო დამცველის ოფისს, 2008 წლის აგვისტომდე რელიგიური შეუწყნარებლობის რაიმე ახალი ინციდენტის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია, ხოლო აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ, ასეთი ინციდენტების გაზრდის შესაძლებლობა ივარაუდა. სისტემური ხასიათის პრობლემები, როგორებიცაა საეკლესიო საკუთრების დაბრუნება, კონფესიურ კუთვნილებათა ლეგალური რეგისტრაცია, უთანასწორო სამართლებრივი მდგომარეობა და არამართლმადიდებლური რელიგიების ნეგატიური გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ, ძირითადად უცვლელი რჩებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობაში, რელიგიურ თავისუფლებას განიხილავს, როგორც მისი ზოგადპოლიტიკური კურსის ნაწილს, რომელიც მიმართულია ადამიანთა უფლებების პატივისცემის ზრდის ხელშესაწყობად. რელიგიური შემწყნარებლობის წახალისების მიზნით, აშშ-ის საელჩომ რამდენიმე პროექტი დააფინანსა.

ნაწილი I. რელიგიური დემოგრაფია

ქვეყანა მოიცავს 25,900 კვადრატულ მილს (67,081 კვადრატულ კილომეტრს), 4.6 მილიონი მოსახლეობით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების ჩათვლით, რომლებიც მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარება. ერთმანეთთან მჭიდრო

მიმართებაშია ეთნიკური ჯგუფი, რელიგიური კუთვნილება და ხშირად, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.

ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უმეტესობა (2002 წლის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 84 პროცენტი), თავს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებულად მიიჩნევს. ის მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც ქართველები არ არიან, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიულ იურისდიქციას ცნობენ და ჩვეულებრივ, თავიანთ ძირითად სასაუბრო ენას იყენებენ (ე.ი. რუსულს, სომხურს ან ბერძნულს). არის, ასევე, მეტწილად ეთნიკური რუსების მცირე რაოდენობა, რომლებიც სამი დისიდენტური მართლმადიდებლური სკოლის მიმდევრებს წარმოადგენენ: მალაკნები, სტაროვერები (ძველი მრწამსის მიმდევრები) და დუხოზორები (სულთან მეზრძოლები). აღიარებულია ისეთი რადიკალური ქართული მართლმადიდებლური ჯგუფების არსებობა, როგორებიცაა 'დავით აღმაშენებელი' და 'მართლმადიდებელი მშობლები,' მაგრამ საპატრიარქოს თანახმად, მათ არავითარი კავშირი არა აქვთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

სომხური სამოციქულო ეკლესია, რომელიც კათოლიკური ეკლესია, იუდაიზმი და ისლამი ქართულ მართლმადიდებლობასთან ერთად საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობდა. აზერბაიჯანელები, რომლებიც საქართველოში მეორე უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ (დაახლოებით 285,000 ანუ მოსახლეობის 7 პროცენტი), უმეტესწილად მუსულმანები არიან; მათი უმრავლესობა ცხოვრობს ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ. სხვა მუსულმანურ ჯგუფებს წარმოადგენენ აჭარის ეთნიკურად ქართველი მუსულმანები და ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონის ჩეჩენი ქისტები, რასაც მუსულმანური მოსახლეობის საერთო რაოდენობა 10 პროცენტამდე აჭყავს. სომხები მესამე უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს ქმნიან (დაახლოებით 249,000 ანუ მოსახლეობის 6 პროცენტი) და ძირითადად სომხური სამოციქულო ეკლესიის სამრევლოს მიეკუთვნებიან; ისინი საქართველოს სამხრეთი რეგიონის, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

კათოლიკების სავარაუდო რაოდენობა დაახლოებით 35,000-ია, უმეტესად ეთნიკურად ქართველები ან ასირიელები [აისორები] და 18,000 ქურთი იეზიდი. ბერძენი მართლმადიდებელი მოსახლეობა 15,000-ს მოითვლის. ებრაელების რაოდენობა დაახლოებით 10,000-ია.

პროტესტანტული და სხვა არატრადიციული კონფესიები, როგორებიც არიან ბაპტისტები, იელოვას მოწმეები და კრიშნაიტები, უფრო აქტიურები და შესამჩნევები გახდნენ. თითოეული ამ ჯგუფთაგანი მოსახლეობის დაახლოებით 1 პროცენტზე ნაკლებს წარმოადგენს.

ნაწილი II. მთავრობის დამოკიდებულების სტატუსი რელიგიური თავისუფლებისადმი

სამართლებრივ-პოლიტიკური სტრუქტურა

კონსტიტუცია უზრუნველყოფს რელიგიურ თავისუფლებას და სხვა კანონები და პოლიტიკის პრინციპებიც ხელს უწყობენ რელიგიის უმეტესწილად თავისუფალ აღმსარებლობას. კონსტიტუცია ცნობს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ ასევე ითვალისწინებს ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას. 2002 წლის კონკორდატი (კონსტიტუციური შეთანხმება) სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, ასევე ცნობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს.

სისხლის სამართლის კოდექსი კონკრეტულად კრძალავს ღვთისმსახურებაში ჩარევას, ადამიანის ჩაგვრას რელიგიური კუთვნილების ან მრწამსის გამო და რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობაში ჩარევას. ამ აკრძალვათა დარღვევა ისჯება ჯარიმით ანდა თავისუფლების აღკვეთით; სახელმწიფო მოხელის ან ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ჩადენილი მსგავსი დანაშაული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად არის მიჩნეული და ისჯება უფრო მაღალი ჯარიმებით ანდა თავისუფლების აღკვეთის უფრო ხანგრძლივი ვადით.

გენერალური პროკურატურის იურიდიული დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებას, ადამიანთა უფლებების დაცვა და მათ შორის რელიგიური თავისუფლების დაცვაც ახარია. ომბუდსმენი (სახალხო დამცველი) ასევე თვალყურს ადევნებს საჩივრებს რელიგიური თავისუფლების შეზღუდვების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა ისევე აქტიურად ახორციელებენ რელიგიური თავისუფლების დაცვას. რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებმა, მაგალითად იელოვას მოწმეებმა, კმაყოფილება გამოხატეს გენერალური პროკურატურის მიერ გამოჩენილი ლოიალური დამოკიდებულებისადმი რელიგიური თავისუფლების დაცვის საქმეში.

მთავრობა ოფიციალურ ეროვნულ დღესასწაულებად შემდეგ უმთავრეს მართლმადიდებლურ საეკლესიო დღესასწაულებს აღნიშნავს: მართლმადიდებლური შობა, ნათლისღება, წითელი პარასკევი, მართლმადიდებლური აღდგომა, აღდგომის ორშაბათი, წმინდა ანდრია მოციქულის დღე, მარიამობა, სვეტიცხოვლობა და გიორგობა.

2006 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, რელიგიურ ჯგუფებს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, მთავრობასთან დარეგისტრირება შეუძლიათ არაკომერციული ორგანიზაციების სტატუსით (ერთ-ერთი ისეთი ფორმით, როგორცაა გაერთიანება/კავშირი ან ფონდი), რათა მიიღონ ოფიციალური სამართლებრივი სტატუსი და საგადასახადო შეღავათები. გაერთიანება/კავშირი დამყარებულია წევრების რაოდენობაზე (სულ ცოტა, ხუთი წევრის არსებობაა აუცილებელი), მაშინ როცა ფონდი

შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე დამფუძნებლისაგან, რომლებიც ქმნიან ფონდს გარკვეული მიზნის განხორციელების ხელშესაწყობად, კონკრეტული ჯგუფის ან ფართო საზოგადოების დახმარების მიზნით. ყველა შემთხვევაში, რეგისტრაციის ფუნქციას ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი, რომელმაც განცხადების შეტანიდან სამი დღის განმავლობაში რეგისტრაციაზე თანხმობა ან უარი უნდა განაცხადოს. რეგისტრაციის უარყოფის გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა ცნობები იმის შესახებ, რომ რომელიმე ჯგუფს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. ზოგიერთმა რელიგიურმა ჯგუფმა უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ იურიდიული სტატუსისა და საგადასახადო შეღავათების მისაღებად, მას დარეგისტრირება მოუწია, როგორც სამოქალაქო სამართლით განსაზღვრულ არაკომერციულ ორგანიზაციას და არა როგორც რელიგიურ ჯგუფს.

ზოგადსაგანმანათლებლო კანონის მე-18 მუხლი აღნიშნავს, რომ “კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები სარგებლობენ რელიგიური რწმენის, აღმსარებლობისა და თვითშეგნების თავისუფლებით და უფლება აქვთ თავიანთი სურვილით აირჩიონ და გამოიცვალონ ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობა.”

2005 წლის კანონი, რომელიც სახელმწიფო სკოლებსა და რელიგიურ სწავლებას ერთმანეთისგან ჰყოფს, მთავრობის მიერ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დადებული კონკორდატის ინტერპრეტაციას მართლმადიდებლობის სწავლებასთან მიმართებაში, უფრო ვიწრო განსაზღვრებას აძლევს, რომლის მიხედვითაც მართლმადიდებლობას სასკოლო პროგრამის არჩევითი საგნის სტატუსი ენიჭება. კანონში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებლობის სწავლებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სასკოლო საათების შემდეგ და სწავლებას არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს სკოლა ან მასწავლებელი. გარედან მოსულ ინსტრუქტორებს, სამღვდელოების ჩათვლით, არ შეუძლიათ რეგულარულად ესწრებოდნენ ან წარმართავდნენ კლასგარეშე საქმიანობებს ან მოსწავლეების კლუბებსა და მათ შეხვედრებს. ამგვარი საქმიანობები ტარდებოდა უფრო მეტად საერო თეოლოგების, და არა სასულიერო პირების მიერ.

კანონის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სასწავლო პროგრამების შემუშავებაში აქვს კონსულტაციური როლი, მაგრამ არ აქვს ვეტოს უფლება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რეგულარულად განიხილავს სკოლებში გამოყენებულ რელიგიურ და სხვა სახის სახელმძღვანელოებს მართლმადიდებლურ მოძღვრებასთან მიმართების თვალსაზრისით, თუმცა ამგვარი განხილვა სამთავრობო სტრუქტურებში კი არ ტარდება, არამედ უფრო მეტად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელთმსახურო მოღვაწეობის ნაწილს შეადგენს. განათლების სამინისტროს შესაბამისად, სასულიერო პირების აქტიურობა სკოლებში ისეთი აღარაა, როგორც ეს ადრე იყო; გარდა ამისა, ზოგიერთი სასულიერო პირი,

ბავშვების ეკლესიასთან არსებულ წრეებში მისაზიდად, სთავაზობს უფრო მეტად სახელოსნო-საოსტატო და სამეცნიერო საქმიანობებს სკოლის გარეთ.

ერთი წლის განმავლობაში, მთავრობამ გამოიძია თავდასხმის, დაშინებების, შანტაჟისა და ძალადობის რამდენიმე შემთხვევა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებდა სასამართლო და პროკურატორული ძალაუფლების ზომიერად გამოყენებას, რომ შეზღუდული საგამომძიებო და საბრალდებო რესურსების პირობებში აქცენტი გაეკეთებინა 2003 წლის შემდეგ აღძრულ საქმეებზე, თავისი შეზღუდული საგამომძიებო და სასამართლო რესურსების გამო. 2003 წლამდე მომხდარი შემთხვევების გამოძიება გეგმის მიხედვით გრძელდებოდა, შესაძლებლობებისდა მიხედვით, მაგრამ უპირატესობა ეძლეოდა ახალ საქმეებს. რელიგიური უმცირესობების ჯგუფებმა აღნიშნეს, რომ ამან საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს იმ საქმეთა გამოძიების შეწყვეტა, რომლებიც შეიძლებოდა გამოძიებული ყოფილიყო 2003 წლამდე არსებული კანონებით.

რელიგიური თავისუფლების შეზღუდვები

გრძელდებოდა სახელმწიფოს მიერ რელიგიური თავისუფლებისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესება და სახელმწიფო პოლიტიკა უმეტესწილად ხელს უწყობდა რელიგიის თავისუფალ აღმსარებლობას.

ამავე დროს, რელიგიური ჯგუფები, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ერთიანად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათი იურიდიული სტატუსი არათანასწორია, რომ ისინი ოფიციალურად არ არიან აღიარებულნი, როგორც რელიგიები და არ გააჩნიათ ის პრივილეგიები, რომლებითაც ქართულ მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს. რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ადგილობრივი პოლიცია მათ საჩივრებზე არ ახდენდა სწრაფ გამომძიებლას. საჩივრების გამოძიება ხშირად დაუმთავრებელი რჩება.

2002 წლის კონკორდატი -- კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, განსაზღვრავს და ადგენს ამ ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთობას. კონსტიტუციური შეთანხმება რამდენიმე წინააღმდეგობრივ მუხლს შეიცავს: იგი პატრიარქს იურიდიულ ხელშეუხებლობას ანიჭებს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აძლევს განსაკუთრებულ უფლებას, რომ შეარჩიოს სამხედრო ნაწილებში მომსახურე სამღვდელოების კარდები. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები გათავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურიდან და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნიკალური კონსულტაციური როლი აქვს მთავრობაში, განსაკუთრებით კი განათლების დარგში; თუმცა, კონსტიტუციური შეთანხმების სხვადასხვა მუხლის შესაბამისად, პარლამენტს კანონმდებლობის მოქმედებაში შეყვანა მოეთხოვება, რაც მას საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის გაკეთებული არ ჰქონდა.

რამდენიმე წელია, რაც ებრაული თემი დარეგისტრირდა, როგორც გაერთიანება/კავშირი, არა იმიტომ რომ ის ასეთ წოდებას ამჯობინებდა, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთმა სტატუსმა მას სინაგოგის შეკეთების საშუალება მისცა. თუმცა სინაგოგა ებრაული თემისათვის მფლობელობაში არ დაუბრუნებიათ, მთავრობამ იგი მათ სიმბოლურ ფასად -- ერთ ლარად მიაქირავა. საკუთრების “დაქირავების” შესაძლებლობამ დააკმაყოფილა ინვესტორები, რომლებმაც სარემონტო სამუშაოების დაწყების სურვილი გამოხატეს. სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ უარი თქვა გაერთიანებად/კავშირად ან ფონდად რეგისტრაციაზე, რაც მას იურიდიული სტატუსის გარეშე ტოვებს. რომაულმა კათოლიკურმა ეკლესიამ მისი თემის გარკვეული ნაწილის რეგისტრაცია მოახდინა, რათა თავის საკუთრებასა და ქონებაზე იურიდიული კონტროლი ჰქონდეს. ეს სარეგისტრაციო წესი კათოლიკურ ეკლესიას საშუალებას აძლევს ფიზიკური კონტროლი ჰქონდეს საეკლესიო ნაგებობებზე და მას ადრე არსებული სარეგისტრაციო ნორმისაგან ათავისუფლებს, რომლის მიხედვითაც ეკლესიას მისი რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაცია ინდივიდუალური ადამიანების სახელზე უხდებოდა. მიუხედავად ამისა, რომაულმა კათოლიკურმა ეკლესიამ დიდი სიფრთხილით გაუსვა ხაზი თავის უკმაყოფილებას რეგისტრაციის ისეთ სახეებზე, რომლებიც “უარყოფს ღირსებას.” ბაპტისტებმა და იელოვას მოწმეებმა გაიზიარეს ამგვარი უკმაყოფილება. რეგისტრაციის ვარიანტებით კმაყოფილება მხოლოდ კრიშნაიტებმა გამოხატეს, რადგან რეგისტრაციამ კრიშნაიტების 100-კაციან თემს თავიანთი ტაძრის შეკეთებისა და მისი კონტროლის საშუალება მისცა და ამავე დროს, მათი არსებობა მთავრობის მხრიდან რაიმე დამატებითი ყურადღების საგანი არ გამხდარა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რომაული კათოლიკური ეკლესიის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ფილოსოფიის, თეოლოგიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტს კვლავ უარს ეუბნებოდნენ აკრედიტაციის განახლებაზე, რომელზედაც განცხადება 2007 წელს იყო შეტანილი. ინსტიტუტმა განაცხადა, რომ მან შესაბამისობაში მოიყვანა და მოაწესრიგა ყველა ის პრობლემა, რომლის გამოც მას უარი ეთქვა აკრედიტაციის განახლებაზე: ინსტიტუტში არ არსებობდა სახელმძღვანელოების ზუსტი რაოდენობის მონაცემები; ბიბლიოთეკის წინ არ იყო გამოკრული ბიბლიოთეკის სამუშაო საათები; არ იყო მონაცემები ინსტიტუტის ვებ-გვერდზე სტუმრების რაოდენობის შესახებ; ინსტიტუტის მიერ გაცემული ოთხ-წლიანი დიპლომი იყო ჰუმანიტარულ დარგში თეოლოგიის სპეციალობით და თეოლოგია არ იყო განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული სადიპლომო საგნების სიაში. ჯგუფმა, რომელსაც სახელად ‘მართლმადიდებელი მშობლები’ ჰქვია, ინსტიტუტის წარმომადგენლებს არაოფიციალურად აუწყა, რომ ინსტიტუტს აკრედიტაციას არ მისცემდნენ.

მუსულმანი ოფიციალური პირების განცხადების შესაბამისად, 2009 წელს, ადგილობრივმა მთავრობამ და პოლიციამ ცემენტის 22 მასიური ჯვარი აღმართა ბოლნისის რაიონის მუსულმანებით დასახლებულ ადგილებში. ჯვრები აღმართული იქნა საზოგადოებრივი ცენტრებისა და სასაფლაოების სიახლოვეს. საპატრიარქოს გაგებული ჰქონდა მომხდარის შესახებ და თბილისში გამოიძახა ადგილობრივი ეპისკოპოსი,

რომელსაც აუხსნეს, რომ ჯვრების აღმართვა პროვოკაციულ ქმედებას წარმოადგენდა და რომ ამგვარი რამ აღარ უნდა გაგრძელებულიყო. ბოლნისში რეინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენლის უკანასკნელი ვიზიტის დროს, ჯვრების არსებობა აღარ დაფიქსირებულა. ბოლნისის რაიონის ოფიციალურმა პირებმა, ასევე, მუსულმანებს სთხოვეს, რომ ამ უკანასკნელთ შეეკვეცათ ან მინიმუმამდე დაეყვანათ ლოცვებისათვის მოწოდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქმეში საშუამდგომლო ჩარევას ანდა მეჩეთების დაჯარიმებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა ლოცვებისათვის საჯარო მოწოდების ოფიციალურ ნებადართვაზე უარს ამბობდა.

წინა საანგარიშო პერიოდებში, სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ სარეგისტრაციო კანონი უზრუნველყოფს სათანადო ბალანსს რელიგიური უმცირესობების მოთხოვნილებებსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსის დაცვის გარანტიას შორის. მთავრობის მტკიცებით, რელიგიური ჯგუფებისათვის, როგორც ასეთი, საგანგებო სტატუსის მინიჭებას და განსაზღვრას, შედეგად ჯგუფებს შორის ყოვლად უსარგებლო უთანხმოება მოჰყვებოდა და რომ არსებულ სარეგისტრაციო კანონს ეფექტურად მიჰყავს ყველა რელიგიური ჯგუფი თანასწორუფლებიან მდგომარეობამდე. მთავრობის თვალთახედვით, სარეგისტრაციო კანონი ყველა რელიგიის მიმართ ნეიტრალურია და მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმას, არის თუ არა ორგანიზაცია მოგებაზე ორიენტირებული ანდა გააჩნია თუ არა მას კომერციული მიზნები. რეგისტრირებული რელიგიური ჯგუფები, საკუთრების უფლებისა და საგადასახადო სტატუსის ძირითადად ისეთივე იურიდიულ მფარველობას იღებენ, როგორსაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია; თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები ეთანხმებიან, რომ შესაძლოა ერთგვარ გაურკვეველობას ჰქონდეს ადგილი როგორც პოტენციური შეღავათების მიმდებთან, ისე მთავრობის აღმსრულებელთა მხრიდან. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მტკიცებით, უმეტესწილად მხოლოდ ის სიმბოლური უპირატესობები რჩება, რაც კონკორდატის მიხედვით გათვალისწინებულ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსს შეესაბამება; ასეთია, მაგალითად დამატებით ღირებულებაზე გადასახადისგან განთავისუფლება (და არა გადახდის შემდეგ ფინანსური კომპენსაციის მიღება) და რელიგიური ხელოვნების ნაწარმის გაყიდვიდან შემოსული მოგების დაბეგვრიდან განთავისუფლება. 2009 წლის აპრილის დასაწყისში, რეინტეგრაციის სამინისტრომ მთავრობის კაბინეტის წინაშე წარსადგენად მოამზადა ახალი წინადადება, რომელიც ნებას რთავს სამოქალაქო სამართლის სუბიექტად სცნონ ყველა ის ჯგუფი, რომელსაც განცხადება ჰქონდა შეტანილი. მაგრამ, რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ურჩიეს, რომ კაბინეტისათვის წინადადება არ წარედგინა საპატრიარქოსთან კონსულტაციის გარეშე. კონსულტაციის შემდეგ, საპატრიარქოს რჩევით, მიმდინარე პოლიტიკური პროტესტების გამო, რომლებსაც ზემოაღნიშნულ პრობლემასთან კავშირი არ ჰქონდა, ასეთ დამაბულ პირობებში, უმჯობესი იქნებოდა პროექტის სამომავლოდ გადადება. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია შემფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ რელიგიური სტატუსის ოფიციალურად მინიჭების შედეგად, შედარებით მცირერიცხოვან, მაგრამ უკეთესად დაფინანსებულ ჯგუფებს

თავიანთ დაწესებულებებში ხალხის მიზიდვის მეტი საშუალება ექნებოდათ, მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობით.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში ჩამორთმეული საკუთრების აღდგენა საკამათო საკითხად რჩებოდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მთავრობას ყოფილი მესაკუთრეებისათვის არ დაუბრუნებია დამატებით რომელიმე ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა ან სამლოცველო სახლი. თბილისის მთავარი მეჩეთი და ორი სინაგოგა შესაბამისი რელიგიური თემების მიერ იმართებოდა, თუმცა ეს ნაგებობები სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა. ამავე დროს, გრძელდებოდა უკვე დაბრუნებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების აღდგენა-შეკეთება, ნაწილობრივ სახელმწიფო სუბსიდიების საშუალებით, იმ მოტივით, რომ ეს შენობები კულტურულ-ეროვნულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. მთავრობამ ამავე საფუძველზე გამოყო სუბსიდიები მეჩეთების შესაკეთებლად და დასაცავად. თურქეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კულტურის სამინისტროს 2008 წლის განმავლობაში უნდა დაეწყო ქობულეთში ისლამური სამლოცველო სახლის განახლება, მაგრამ საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, სამუშაოები დაწყებული არ იყო. სხვა რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსება არ ხდებოდა ნეიტრალურ და თანასწორ ნიადაგზე. სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სომხურ ეკლესიას, რომელიც თბილისში მოქმედებს და რომელიც მათი ლიდერების განცხადებით 100,000-იან მრევლს ემსახურება, დაფინანსება არ მიუღია, რადგანაც სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ მთავრობასთან რეგისტრაციაზე უარი თქვა. კულტურის სამინისტრომ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია რესტავრაციის პროექტის დაფინანსება, სანამ ეკლესიას არ ეყოლება კანონიერად რეგისტრირებული მფლობელი.

როგორც რომაული კათოლიკური ეკლესიის, ასევე სომხური სამოციქულო ეკლესიის ოფიციალური პირები თვლიან, რომ საკუთრების შესახებ არსებული უთანხმოებების გადაჭრა არ ხდებოდა გამჭვირვალე სამართლებრივი პროცესის საშუალებით, არამედ უფრო ცალკეული საქმეების განხილვის საფუძველზე, რაც უკეთეს პირობებს უქმნიდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს. მათი განცხადებებით, მთავრობას არ სურდა საეკლესიო საკუთრებაზე არსებულ უთანხმოებათა გადაჭრა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების განაწყენების შიშით.

2007 წელს, იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა, რომ საკუთრებაზე პრეტენზიის მქონე მომავალი მფლობელების დადგენის პროცესში, იგი დაყრდნობოდა არადაინტერესებულ პირთა საექსპერტო შეფასებას და არა მანამდე არსებულ უმოქმედო კომისიას, რომელშიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელიც შედიოდა. გრძელდებოდა კამათი ნორაშენის ეკლესიის გადაცემის საკითხის გარშემო, რომელიც დაკეტილია 1995 წლიდან და რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს როგორც სომხური სამოციქულო ეკლესია, ისე ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. 2008 წლის 16 ნოემბერს, ქართველმა მართლმადიდებელმა მღვდელმა, მამა ტარიელ

სიკინჰილაშვილმა ეკლესიის ეზოში, რომელიც ქართულ ეკლესიას საზიაროდ აქვს ნორაშენის ეკლესიასთან, ბულდოზერი მიიყვანა. ბულდოზერისათვის გზა რომ გაეწმინდა და გავლის საშუალება მიეცა, მან ეკლესიის ეზოში გადაადგილა და მოგვიანებით ისევ ძველ ადგილებზე დააბრუნა რამდენიმე სომხური საფლავის ქვა. სომხურმა სამღვდელოებამ ეს ქმედება იქ დაკრძალული სომხებისადმი უპატივცემლობის გამოვლენად შეაფასა. საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, აღნიშნული საქმიანობა შეწყდა და რამდენიმე სომხური საფლავი, რომელთა თავზე ქვის ნატეხები იყო დაყრილი, გაწმენდილი იქნა. სომხური სამოციქულო და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ შექმნილ ერთობლივ კომისიას, რომელსაც საკამათოდ გამხდარი ეკლესიების საკითხზე უნდა ემსჯელა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რაიმე პროგრესი არ გაუკეთებია. თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდებისაგან განსხვავებით, ამ საკამათო საკითხს არ გამოუწვევია რაიმე დამატებითი რელიგიათაშორისი მღელვარება.

რომაული კათოლიკური ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია და რამდენიმე პროტესტანტული რელიგიური მიმდინარეობა ისევ აწყდებოდა სიძნელეებს ახალი ეკლესიების აშენების უფლების მოპოვების საქმეში, რადგან ადგილობრივი მმართველობა თავს იკავებდა მშენებლობის უფლების გაცემისაგან, რასაც შეიძლებოდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენლების გაღიზიანება გამოეწვია. საანგარიშო პერიოდში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რომაული კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები, ახალი ეკლესიის აშენების ნებართვის მისაღებად, ადგილობრივი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთან გაგზავნა. ეპისკოპოსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ახლის აშენების ნაცვლად, ძველი ეკლესიის შეკეთება აჯობებდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს აზრი გაიზიარა.

აჭარის მუსულმანები ასევე წარუმატებლად ცდილობდნენ საბჭოთა პერიოდამდელ საკუთრებათა უკან დაბრუნებას. ადგილობრივი ხელისუფლება მეჩეთების დაბრუნების განმეორებით მოთხოვნებზე პასუხს არ იძლეოდა.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა საკუთრებისა და ქონების ის უმეტესი ნაწილი, რომლის კონფისკაციაც საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მოხდა. საკუთრების დაბრუნების გარდა, მთავრობა ეკლესიას ყოველ წელიწადს გამოუყოფს გრანტებს, რომ ამით ეკლესიას ნაწილობრივ მაინც აუნაზღაუროს საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალი. 2009 წელს გამოყოფილი გრანტის თანხა 15 მილიონ დოლარს (25 მილიონ ლარს) შეადგენდა. საპატრიარქოს განცხადებით, ეს თანხა უნდა დახარჯულიყო საგანმანათლებლო საქმიანობებზე და ღარიბებისა და ობლების დასახმარებლად.

იელოვას მოწმეების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში შეტანილი სამი საჩივარი ძალადობრივ თავდასხმებზე, რომლებიც პოლიციამ და მთავრობის სხვა ოფიციალურმა პირებმა იელოველების წინააღმდეგ 2001 წელს ჩაიდინეს,

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხილული და დასრულებული იქნა. სამივე საქმე მოპასუხეთა სასარგებლოდ გადაწყდა. გადაუწყვეტელი რჩება მთავრობის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში აღძრული ოთხი დამატებითი საქმე, რომლებშიც ასახულია ძალადობრივი დევნის ფაქტები, რომელთაც სასამართლო დაცვის საშუალებების გამოყენება არ მოჰყოლია, ასევე პოლიციის ოფიცრებისა და მთავრობის ოფიციალური პირების უკანონო ქმედებებისა და იელოვას მოწმეების ორგანიზაციებისათვის სამართლებრივი სტატუსის ჩამორთმევის ფაქტები.

რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები, იელოვას მოწმეების ჩათვლით, განაგრძობდნენ ჩივილს იმის შესახებ, რომ მათ სიძნელეები ექმნებოდათ სალოცავი სახლების მშენებლობასა და გამოყენებასთან დაკავშირებით ანდა იმ შენობების უკან დაბრუნების საკითხში, რომელთა კონფისკაციაც კომუნისტურ ხანაში მოხდა; თუმცა იელოვას მოწმეები აღარ მიიჩნევდნენ საჭიროდ, უსაფრთხოების მიზნით რელიგიური მსახურების კერძო პირების სახლებში ჩატარებას.

მიმდინარე პრობლემას წარმოადგენდა იელოვას მოწმეების სამშენებლო გეგმები იმ საკუთრებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ თბილისში შეიძინეს. ქალაქის მერიაში შეტანილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მაგრამ ნებართვის გაცემაზე უარი ითქვა. მშენებლობის ნებართვაზე უარის მიღების გამო, 2008 წლის აგვისტოში მათ საჩივარი აღძრეს თბილისის საქალაქო ადმინისტრაციის წინააღმდეგ. 2009 წლის თებერვალში ადმინისტრაციულმა სასამართლომ სარჩელი იელოვას მოწმეების სასარგებლოდ გადაწყვიტა, თუმცა მოპასუხე მხარემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. იელოვას მოწმეები რამდენიმე პრობლემატურ სამშენებლო პროექტთან იყვნენ დაკავშირებულნი (იხილეთ ნაწილი III).

იელოვას მოწმეების ლიდერებმა აღნიშნეს, რომ მათ კვლავ უარს ეუბნებიან ისეთ შესაკრებ დარბაზებზე, რომლებსაც 200-ზე მეტი დასაჯდომი ადგილი აქვს და ამასთან დაკავშირებით, გენერალურ პროკურატურას ბრალდება არავისთვის წაუყენებია. იელოვას მოწმეების ლიდერებმა განაცხადეს, რომ ისინი არ აპირებდნენ ამის გამო სასამართლოში საქმის აღძვრას, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ პრობლემა გადაწყდებოდა საკუთარი დიდი დარბაზის ასაშენებელი ნებართვის მოპოვებით. მათ ამ გეგმისათვის მსვლელობა არ მიუციათ და შენობების დაქირავებას განაგრძობდნენ.

თბილისის ავლაზრის რაიონში იელოვას მოწმეების საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის გეგმა ქალაქის მუნიციპალიტეტის ოფიციალურმა პირებმა შეაჩერეს; მათ საკითხი დასვეს იმის შესახებ, იყო თუ არა საკუთრება იელოველთა ჯგუფის მიერ კანონიერად შეძენილი. 2008 წლის მაისისათვის, ჯგუფს კვლავ არ ჰქონდა მიღებული მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების უფლება. საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის, ქალაქ თბილისის ხელმძღვანელობა იხილავდა იელოვას მოწმეების მიერ შეტანილ განცხადებას თბილისის ზღვის (წყალსაცავის) ახლომდებარე მიწის

ნაკვეთის შეძენის შესახებ, ხალხმრავალი შეკრებებისათვის დიდი დარბაზის ასაშენებლად.

სახალხო დამცველის მოხსენების მიხედვით, კვლავ ჰქონდა ადგილი ისეთ პრობლემებს, როდესაც მასწავლებლები მართლმადიდებლური თეოლოგიის გაძლიერებას საკლასო ოთახში ლოცვებითა და სკოლაში ხატებისა და სხვა რელიგიური სიმბოლოების გამოფენით ცდილობდნენ. სახალხო დამცველის დახასიათებით, ეს პრობლემა განსაკუთრებულად შეიმჩნეოდა აჭარაში, სადაც მუსულმანი სტუდენტები ხშირად ხდებიან რელიგიური შევიწროების ობიექტები მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე მასწავლებლების მხრიდან. განათლების სამინისტრომ შექმნა გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი, რომელსაც ევალება მასწავლებლისათვის შეუფერებელი საქციელის შესახებ გაკეთებული საჩივრებისა და სტუდენტების რელიგიური თავისუფლების დარღვევათა შემთხვევების განხილვა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის განცხადებით, რელიგიური თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი საჩივარი იქნა შეტანილი, 2008 წლის აპრილში, ებრაელი მასწავლებელი ქალის მიერ, რომელიც თვლიდა, რომ მისი რელიგიის გამო მას კოლეგები გარგად არ ეპყრობოდნენ. საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის, გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდებოდა.

რელიგიურ უმცირესობათა ლიდერები განაგრძობდნენ სახალხო დამცველის ოფისში საჩივრების შეტანას იმის თაობაზე, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ზოგიერთი მასწავლებელი ანდა ადგილობრივი მართლმადიდებელი მღვდელი აგრძელებდა რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების და განსხვავებული სარწმუნოების მქონე ადამიანთა შორის ქორწინების კრიტიკას. არსებული ცნობებით, ადგილი ჰქონდა ზოგიერთი მასწავლებლის მიერ კათოლიკე და პროტესტანტი სტუდენტების დაცინვას და მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე სტუდენტებისათვის მათთან ურთიერთობის დაშლას.

2009 წლის საანგარიშო პერიოდში, კათოლიკეებმა განაცხადეს, რომ მასწავლებლები ბავშვებს ეუბნებოდნენ, თითქოს ის ბავშვები, ვინც სკოლაში პირჯვარს მართლმადიდებლური წესით იწერდნენ, “ღვთის ნიშანს გამოსახავდნენ,” ხოლო ის ბავშვები, რომლებიც პირჯვარს კათოლიკური წესით იწერდნენ, “ემმაკის ნიშანს გამოსახავდნენ.” სკოლის თანამშრომლები ბავშვს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევენ, თუკი მათ არაფერს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბავშვს სხვა აღმსარებლობა აქვს, რაც შეიძლება სკოლაში სირთულეების წარმოქმნის საბაზი გახდეს. ამ მიზეზის გამო, კათოლიკეებმა, ბაპტისტებმა და კრიშნაიტებმა -- ყველამ შენიშნა, რომ მშობლების აზრით, მათი ბავშვებისათვის სკოლის გარემო და სიტუაცია უფრო უკეთესია მაშინ, როცა ისინი თავიანთი ოჯახის რელიგიურ კუთვნილებას საზოგადოებაში ღიად არ აცხადებენ.

იელოვას მოწმეების ლიდერებმა აღნიშნეს, რომ იელოველი ბავშვების სარწმუნოებრივ ნიადაგზე დევნა-შევიწროება მნიშვნელოვნად შემცირდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რასაც ისინი მიაწერდნენ სახალხო დამცველის ოფისის ჩარევას და განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მიღებულ ზომებს. ადგილობრივი ხელმძღვანელობების განცხადებების მიხედვით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მათ არ მიუღიათ არავითარი საჩივარი იელოველთა ბავშვების დევნა-შევიწროების ან დისკრიმინაციის შესახებ სკოლის მასწავლებლების ან მოწაფეების მხრიდან.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონები ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გარეშე რჩებოდა და ამიტომ, სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება ამ რეგიონებიდან ძნელი იყო. 1995 წელს, დეფაქტო აფხაზური ხელისუფლების მიერ გაცემული დადგენილება, რომელიც რეგიონში იელოვას მოწმეებს კრძალავდა, ძალაში რჩებოდა, მაგრამ არ იყო მოქმედებაში შესული. იელოველთა ჯგუფმა განაცხადა, რომ ისინი აგრძელებდნენ აფხაზეთში რელიგიური მსახურების ჩატარებას, თუმცა ლიმიტირებულად, ზემოაღნიშნული დადგენილების არსებობის გამო. ბაპტისტებმა, ლუთერანებმა და კათოლიკებმა განაცხადეს, რომ მათაც ნებადართული ჰქონდათ რეგიონში ფუნქციონირება, მაგრამ მათგან განსხვავებით, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ეს საშუალება არ ჰქონია.

2009 წლის მარტში, აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებს ჯაშუშობაში დასდო ბრალი და 2009 წლის 4 აპრილს ისინი აფხაზეთიდან განდევნა. 2009 წლის აპრილის დასაწყისში, აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებამ კოდორის ხეობის სოფელ აჟარის წმინდა გიორგის მონასტრიდან გააძევა ოთხი ქართველი ბერი და სამი მონაზონი, იმ მიზეზით, რომ ისინი კოდორის ხეობაში აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებას არ სცნობდნენ. პრესაში გამოქვეყნებული განცხადებების მიხედვით, ბერები და მონაზვნები ჯერ სოხუმში წაიყვანეს, დაკითხეს და აიძულებდნენ აფხაზური “პასპორტების” აღებას. ბერებმა და მონაზვნებმა ამ დოკუმენტების აღებაზე უარი განაცხადეს და აღნიშნეს, რომ ისინი მხოლოდ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ემსახურებოდნენ. ამის შემდეგ, ისინი აფხაზეთიდან გააძევეს. ბერებმა ადმინისტრაციული საზღვარი ენგურის ხიდზე გადაკვეთეს და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ. ამ დროს, რუსული ჯარის ნაწილები ხუთი წუთის განმავლობაში ჰაერში იარაღს ისროდნენ, ალბათ ხიდზე ბერების მომლოდინე ხალხის დაშინების მიზნით.

სამხრეთ ოსეთში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევრებს კვლავ არ აძლევდნენ ღვთისმსახურების ჩატარების საშუალებას ქართული მართლმადიდებლურ ეკლესიებში, რომლებიც ქართული სოფლების -- ნულის, ერედვის, მონასტერისა და გერის ახლოს მდებარეობს, რადგან ეს ადგილები სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

რელიგიური თავისუფლების საწინააღმდეგო უკანონო ქმედებები

2007 წლის მაისის ინციდენტის გამოძიების შესახებ მოვლენების რაიმე ახალ განვითარებას ადგილი არ ჰქონია. ამ ინციდენტის მონაწილენი არიან ამოუცნობი პირები, რომლებმაც გლდანში იელოველებს დავით შერმადინსა და დავით კარამიანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ძალით წაართვეს და ადგილზევე გაუნადგურეს იელოვეური ლიტერატურა. საანგარიშო პერიოდის დასასრულს, გამოძიება გრძელდებოდა.

არ არსებობს ცნობები ქვეყანაში რელიგიურ ნიადაგზე დაპატიმრებულთა ან დაკავებულთა შესახებ.

სხვა სარწმუნოებაზე იძულებით გადაყვანა

სხვა სარწმუნოებაზე იძულებით გადაყვანის ცნობები არ ყოფილა, მათ შორის, არც აშშ-ის მცირეწლოვანი მოქალაქეებისა, რომლებიც მოტაცებულები თუ უკანონოდ ჩამოყვანილები იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან და რომლებსაც აშშ-ში დაბრუნების უფლებას არ აძლევდნენ.

რელიგიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული გაუმჯობესებები და პოზიტიური ძვრები

რელიგიური უმცირესობები ძირითადად მიესალმებოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო პროგრამებიდან რელიგიური სწავლების ამოღებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რელიგიის შესახებ სწავლა ზოგადისტორიულ კონტექსტში ჯდებოდა. თუმცა, რელიგიური უმცირესობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვირვებით, პრაქტიკა ყოველთვის ფეხდაფეხ არ მისდევდა კანონს. საანგარიშო პერიოდში, განათლების სამინისტრო იტყობინებოდა სკოლებში რელიგიური სიმბოლოების/სალოცავების შესამჩნევი შემცირებისა და მასწავლებლების მხრიდან მეტი მცდელობების შესახებ, რომ რელიგია საკლასო ოთახებს გარეთ დარჩენილიყო.

წარსულში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს სთავაზობდნენ არჩევითი საგანს 'რელიგია საზოგადოებაში,' რომელშიც ყველა ძირითადი რელიგიის ისტორია იყო შეტანილი. მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ამ საგნის სწავლებისას და ასევე სახელმძღვანელოებშიც, ყურადღება მხოლოდ მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე იყო გამახვილებული. 2007 წლის ივლისში, განათლების სამინისტრომ შეაჩერა ახალ სასწავლო პროგრამაზე მუშაობა, რომელსაც საზოგადოების მიერ გამოთქმული უკმაყოფილების საკითხზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება; მუშაობა შეჩერდა, რადგან სამუშაო ჯგუფი პროგრამის შინაარსზე ვერ შეთანხმდა. განათლების სამინისტრომ 2009 წელს შეძლო პროგრამაზე მუშაობის დასრულება, რომელიც განათლების სისტემის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.

განათლების სამინისტრო გარკვეულ სიძნელეებს წააწყდა, როდესაც მან სცადა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში ზემოაღნიშნული კურსის, როგორც დამოუკიდებელი და აუცილებელი საგნის შეტანა. საბოლოოდ, საგანი წარმატებით იქნა შეტანილი და ჩართული ისტორიის არსებულ კურსში.

ისტორიისა და გეოგრაფიის კურსები გარკვეულწილად მიმოიხილავს მსოფლიოში არსებულ რელიგიურ ჯგუფებს. განათლების სამინისტრომ შეცვალა მოძველებული სახელმძღვანელოები, რომლებშიც შეტანილი თემები და მასალები აღარ შეესაბამებოდა რელიგიური თავისუფლების ხელშემწყობ კანონმდებლობას. ახალ სახელმძღვანელოებში შესული მასალები, ქართული მართლმადიდებლობის გარდა, სხვა რელიგიურ ჯგუფებსაც მოიცავს და მათი განხილვა ნეიტრალურ ხასიათს ატარებს. 2007 და 2008 წლების განმავლობაში, მეორე, მერვე და მეთერთმეტე კლასებისათვის ახალი სახელმძღვანელოები იქნა შემოღებული. სკოლებს ევალებათ, რომ სახელმწიფოს/ეროვნული ისტორიისა და გეოგრაფიის პროგრამებში, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ისწავლებოდეს, მხოლოდ როგორც ისტორიისა და კულტურის ზოგადქრონოლოგიური ან თემატური ნაწილი და რელიგიური თემები, ტექსტები და რწმენა-წარმოდგენები ყოველგვარი მიკერძოების და უპირატესობების მინიჭების გარეშე აღიწერებოდეს. მაგალითად, დაწყებითი კლასებიდან, კერძოდ კი მესამე კლასიდან, რელიგიური თემების შემცველი რელიგიური ტექსტების ციტატები შეიძლება ისწავლებოდეს ლიტერატურის კურსებში. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ასეთი ტექსტები და თემები სამოქალაქო უფლება-მოვალეობების და მორალის ნორმების სწავლების პროცესშიც უნდა იქნას ჩართული, რომ განსაკუთრებულად იყოს ხაზგასმული რელიგიათა შორის მიმტევებლობისა და ურთიერთგაგების მნიშვნელობა. გეგმებში გათვალისწინებულია, რომ სამოქალაქო აღზრდის პროგრამის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, რელიგიური მიმტევებლობის სწავლება აუცილებელი სამოქალაქო აღზრდის ელემენტს უნდა შეადგენდეს მეშვიდედან მეცხრე კლასების ჩათვლით. თუმცა, განათლების სამინისტროს განცხადებით, ამ გეგმების დანერგვა შენედა, რადგანაც რესურსები ფოკუსირებულია სახელმწიფო პროგრამების სხვა ელემენტებზე.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თბილისის მეჩეთის წინამძღოლებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს არსებული კანონის მიხედვით დარეგისტრირებაზე და რომლებიც წარსულში რელიგიური ლიტერატურის შემოტანის სიძნელეებზე იტყობინებოდნენ, წარმატებით შემოიტანეს 2008 და 2009 წელს შეკვეთილი რელიგიური ლიტერატურა აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან.

წინა საანგარიშო პერიოდში, ციხეების სამმართველოზე სახალხო დამცველის ზემოქმედებას და ჩარევას, შედეგად ციხეებში სასულიერო პირების ვიზიტების პრობლემის გაუმჯობესება მოჰყვა. ციხეების სამმართველოს თხოვნით, სახალხო დამცველის ოფისის რელიგიურმა საბჭომ, რომელშიც სხვადასხვა სახისა და მიმდინარეობის რელიგიური ჯგუფი შედის, შეადგინა სასულიერო პირების სია,

რომლებსაც ციხეებში სასულიერო მიზნით ვიზიტების უფლება მიეცათ. ეს პროცედურა რელიგიური მომსახურების ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით იყო შემუშავებული. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ პასუხისმგებლობა იკისრა თვალყური ედევნებინა იმისათვის, რომ პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო რელიგიური თავისუფლებით სარგებლობა. რავინის განცხადებით, ზემოაღნიშნულმა პროცედურამ წარმატებით იმუშავა და მას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დახმარებით, საშუალება მიეცა ებრაული წესით დამზადებული რელიგიური საჭმლით მოემარაგებინა ის პატიმრები, რომლებიც ამას საჭიროებდნენ; ასევე, რავინს პატიმრების ყოველკვირეული მონახულების საშუალება მიეცა.

2009 წლის 24 აპრილს, სახელმწიფომ და ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს შეთანხმებაზე, რომლის მიხედვითაც, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელი შეუწყოს მსჯავრდადებულთა საზოგადოებაში დაბრუნების პროცესს, მათი საეკლესიო ცხოვრებაში ჩართვითა და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობის მიღებით. ამ პროცესის დეტალები დაწვრილებით განმარტებული არ ყოფილა და უფრო მეტ ურთიერთშეთანხმებას საჭიროებდა ხელშეკრულების მოქმედებაში შესაყვანად.

ნაწილი III. საზოგადოების დამოკიდებულების სტატუსი რელიგიური თავისუფლებისადმი

არ შეწყვეტილა განცხადებები რელიგიური კუთვნილების, რწმენის ან აღმსარებლობის ნიადაგზე საზოგადოებაში შეურაცხყოფის მიყენების ან დისკრიმინაციის შესახებ. ცნობების მიხედვით, დევნა-შევიწროების შემთხვევებს ადგილი ჰქონდა თბილისის გარეთ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი მოქალაქეები, მთავრობის ოფიციალური პირები და მართლმადიდებელი პროვოკატორები. ქვეყანაში არსებულ “ტრადიციულ” რელიგიურ უმცირესობათა მიმართ, კათოლიკეების, სომეხი ქრისტიანების, ებრაელებისა და მუსულმანების ჩათვლით, ძირითადად მიმტევებლური დამოკიდებულება შეიმჩნეოდა. თუმცა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საზოგადოების ზოგიერთი წევრი კვლავ შიშს გამოხატავდა “არატრადიციულ” რელიგიურ უმცირესობათა მიმართ, მაგალითად იელოვას მოწმეებისა და ბაპტისტების მიმართ. ზოგიერთი პიროვნების თვალსაზრისით, რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები საფრთხეს უქმნიდნენ ქართული ეკლესიასა და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს.

წლის განმავლობაში, რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრებზე ხუთი თავდასხმა განხორციელდა. პოლიციამ ამ თავდასხმების შემთხვევებზე სწრაფი რეაგირება მოახდინა, მაგრამ მომხდარი დანაშაულების შემდეგ სათანადო ღონისძიებების ჩატარება შედარებით ნელა მიმდინარეობდა და პოლიცია ამ დანაშაულებებს აფასებდა, როგორც უბრალო “ხულიგნობას;” ეს უკანასკნელი განმარტებულია, როგორც ქმედება, რომელიც

საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს ან საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემლობას გამოხატავს ძალადობის გამოყენებით ან ძალის გამოყენების დაშინებით.

ზოგიერთ რელიგიურ უმცირესობათა განცხადებების მიხედვით, მასობრივი იმფორმაციის საშუალებების მხრიდან მათდამი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება გრძელდებოდა. ამ რელიგიურ უმცირესობათა ზოგი ლიდერი აღნიშნავდა, რომ მედია უბრალოდ იგნორირებას იჩენდა მათი რელიგიური თემის მიმართ და მათი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ გადასცემდა. მუსულმანების განცხადებით, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის გარდა, სახელმწიფოს არც ერთი ოფიციალური პირი არ მისულა მეჩეთში რაიმე დღესასწაულზე დასასწრებად. თუმცა ადგილობრივი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დღესასწაულებში მონაწილეობას იღებენ, ისინი არ ესწრებიან სხვა ადგილობრივ რელიგიურ დღესასწაულებს, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ამ მოვლენათა გაშუქების შესაძლებლობას ზღუდავს.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე, იელოვას მოწმეებმა წარმოადგინეს 27 ინციდენტის სია, რომელშიც შედიოდა ხელისუფლების ორგანოებისათვის შეტყობინებული დევნა-შევიწროების ფაქტები, რომლებიდანაც რვა შემთხვევა თბილისში მოხდა (შედარებით გასული წლის 18 და 9 ანალოგიურ შემთხვევასთან). საჩივრების დაახლოებით ნახევარი შეიცავდა დევნა-შევიწროების შემთხვევებს, როდესაც წყვილ-წყვილად მომუშავე იელოვას მოწმეები ადამიანებთან ბიბლიაში აღწერილ ამბებზე საუბრის გაბმას ცდილობდნენ. მეორე ნახევარში შედიოდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა იელოვას მოწმეების თავშეყრის ადგილების დაზიანებას, განსაკუთრებით კი მშენებარე 'სამეფო დარბაზების' (იელოველთა სალოცავი შენობების) და მშენებლობასთან დაკავშირებული მანქანების დაზიანებას. მომხდარი 27 შემთხვევიდან, 3-ზე სასამართლო საქმე იქნა აღძრული, 1 საქმის მსვლელობის მიცემაზე უარი ითქვა და 23 გადაუწყვეტელი რჩებოდა. მომხდარი შემთხვევებიდან, რომლებზეც სასამართლოში საქმე აღიძრა, ერთი ეხებოდა იელოველთა მიერ პროზელიტიზმის [რჯულის შეცვლის დარწმუნების მცდელობის პროცესის] დროს მათდამი განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას; მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო აღძრული საქმესთან დაკავშირებით, მოპასუხე გათავისუფლებული იქნა; ხოლო შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იყო სამშენებლო ტერიტორიაზე დემონსტრაციის დროს ქვების სროლასთან, დამნაშავეთა დაჯარიმებით და მათთვის გაფრთხილების მიცემით დამთავრდა. ცნობების მიხედვით, ამ შემთხვევებში მონაწილე დამნაშავეთა შორის იყვნენ მერი, ადგილობრივი მღვდლები და სკოლის მასწავლებლები. მომხდარი ინციდენტების დასახელებულ რიცხვში არ შედის ის შემთხვევები, როდესაც იელოველთა სამეფო დარბაზების და შენობების წინა და უკანა კედლებზე დახატული იქნა ჯვრები (თითქოსდა იელოველების წმინდა ნიშნების საშუალებით დასამორჩილებლად) და სხვადასხვა სახის ნიშნები და წარწერები.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვის სასულიერო სემინარია აფხაზ

მღვდლებს აფხაზეთში საეკლესიო სამსახურისათვის ამზადებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განცხადებით იგი აღიარებს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც კანონიერ ეკლესიას აფხაზეთში, საქართველოს საპატრიარქოს მტკიცებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოს ლოიალურ მღვდლებს აფხაზეთში აგზავნის ადგილობრივი აფხაზური ეკლესიების დაფუძნების საბაზით.

კათოლიკური ეკლესიის განცხადებით, სამხრეთში, ადიგენის რაიონში, ისევე როგორც ახალციხეში, კათოლიკეების მიმართ არაკეთილგანწყობა შეიმჩნეოდა.

წინა საანგარიშო პერიოდების განმავლობაში, დევნა-შევიწროების შემთხვევები ჩადენილი იყო ან მიეწერებოდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ექსტრემისტულ პატარა ჯგუფს, რომლის წევრებიც შემდეგ მოკვეთილნი იქნენ ეკლესიის მიერ და მათ წინააღმდეგ სასამართლო საქმე იქნა აღძრული. 2008 წლის 26 ივლისს, ერთი ასეთი ექსტრემისტი, ბასილ მკალავიშვილი, ციხიდან იქნა გათავისუფლებული და მას ამჟამად თბილისში მცირერიცხოვანი მრევლი ჰყავს. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შესაბამისად, მკალავიშვილი ოფიციალურად აღარ არის დაკავშირებული ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რადგან იგი განკვეთილი და სასულიერო წოდება ჩამორთმეული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მკალავიშვილი კვლავ მღვდელივით იქცევა და მღვდლის ტანისამოსი აცვია და ალბათ ასეთივე როლს ასრულებს თავისი მრევლისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ზოგჯერ გადაიცემოდა ცნობები უმნიშვნელო ძალადობათა შემთხვევების შესახებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ სომხებს შორის; თუმცა, სახალხო დამცველის ოფისის ცნობები, ეს შემთხვევები რელიგიური განსხვავებებით არ ყოფილა განპირობებული.

2008 წლის მეორე ნახევარში, სახალხო დამცველი იუწყებოდა მუსულმანების, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესიის, ხსნის არმიის, ევანგელისტურ-პენტაკოსტალური ეკლესიისა და რერიხის საზოგადოების წინააღმდეგ განხორციელებულ შეტევებზე და მათ მიმართ არამიმტეველურ დამოკიდებულებაზე. სისტემატური ხასიათის პრობლემები, როგორებიცაა საეკლესიო საკუთრების დაბრუნების პირობის შეუსრულებლობა, ეგრეთ წოდებული ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია, უთანასწორო სამართლებრივი მდგომარეობა და ნეგატიური გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, უცვლელი რჩებოდა.

2008 წლის 9 ოქტომბერს, დამაზიანებელ თავდასხმათა სერიის უკანასკნელ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ვანის ევანგელისტურ-პენტაკოსტალურ სალოცავ სახლში. ეკლესიის პასტორი შინაგან საქმეთა სამინისტროს ვანის განყოფილების უფროსის მოადგილეს შეხვდა, რომელმაც მას აუხსნა, რომ ვანის მაცხოვრებლებს სექტების არსებობა

დაუშვებლად მიაჩნდათ. სახალხო დამცველის ოფისის ჩარევის შედეგად, პოლიციის უფროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

სამცხე-ჯავახეთის ადიგენის რაიონის სოფელ ფლატეში, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის ზოგიერთი წევრი 2007 წლიდან შლიდა იქაურ არმოქმედ მეჩეთს (ამ ფაქტის შესახებ ადრე ცნობები არ იყო). ისინი მეჩეთის ქვას ზარზმის მონასტრის ტერიტორიაზე ეკლესიის ასაშენებლად იყენებდნენ. გაკეთებული საჩივრების შედეგად, საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის, ამგვარი საქმიანობა შეჩერებული იქნა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ადიგენის რაიონის სოფელ ჭელას მუსულმანი მოსახლეობის ცნობებით, ქუჩებში, სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა მათდამი სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევებს. ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს ყოფილი მეჩეთი ადგილობრივ პოლიციას ეკავა, ხოლო მეორე მეჩეთი ქალაქ ქობულეთში, “მასპინძლობდა” საცეკვაო სტუდიას. ადიგენის რაიონში, თურქი მესხების მიერ აშენებული დაახლოებით შვიდი უმოქმედო მეჩეთი იყო, რომლებსაც სხვები თავიანთი საქონლის სადგომად იყენებდნენ. მუსულმანმა მოსახლეობამ (რომელთა უმრავლესობას აჭარიდან გადმოსახლებულები შეადგენენ) ვერ შეძლო ამ მეჩეთების თავიანთ მფლობელობაში დაბრუნება. ქალაქ აბასთუმანში დაბრუნებულმა მესხებმა, ასევე მოითხოვეს კუთვნილი მეჩეთის მათთვის დაბრუნება.

აჭარის მუსულმანურ საზოგადოებას ეკრძალებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრაცია. ოფიციალური რეგისტრაციის მოპოვება აჭარის მხოლოდ ერთმა მუსულმანურმა ორგანიზაციამ მოახერხა თბილისში ჩასვლით, მას შემდეგ რაც მან აჭარის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან რეგისტრაციაზე უარი მიიღო.

ადგილი ჰქონდა გარკვეულ უკმაყოფილობებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების პროცესთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა ადვენტისტმა შესაბამის სააგენტოს დროულად არ მიმართა თხოვნით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ალტერნატიული შრომითი სამსახურით შენაცვლების შესახებ. ამის შედეგი ის გახდა, რომ ეს პიროვნება სავალდებულო სამხედრო სამსახურს შრომა-გასწორების კოლონიაში გადიოდა. სახალხო დამცველის ოფისის რეკომენდაციით, ეს საკითხი თავიდან იქნა განხილული. ადვენტისტი, თავისი რელიგიური რწმენის გამო, შაბათობით გათავისუფლებული იქნა სავალდებულო სამხედრო მოვალეობის შესრულებისაგან.

2008 წლის 23 სექტემბერს, სახალხო დამცველის ოფისის ჩარევის შედეგად, იელოვას მოწმეების პასტორს უფლება მიეცა სამხედრო სამსახური 2012 წლამდე გადაევადებინა. 2008 წლის 19 თებერვალს, ეს პიროვნება ჯარში გასაწვევად თბილისის ვაკე-საბურთალოს სამხედრო განყოფილებაში დაიბარეს. მისი მოთხოვნა სამხედრო სამსახურის გადავადების შესახებ უარყოფილი იქნა, რასაც საფუძვლად ის “ახსნა-განმარტება” ედო, რომ მთავრობა იელოველობას, როგორც რელიგიას, არ ცნობს. იმ

ოფიციალური პირის წინააღმდეგ, რომელმაც მისი განცხადება თავდაპირველად არ დააკმაყოფილა, არავითარი ადმინისტრაციული ზომები არ მიუღიათ.

მეორე შემთხვევაში, 2008 წლის ნოემბერში, თბილისის ადმინისტრაციულმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა იელოვას მოწმეების ერთ-ერთი წევრის სასარგებლოდ, რომელიც თავისი მრევლის სასულიერო მოძღვრად მაშინ იქნა დანიშნული, როცა ის ალტერნატიულ სამხედრო სამსახურს გადიოდა. ალტერნატიული სამსახურის შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 17.3), იელოველი ითხოვდა, რომ ის დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან, რადგანაც იგი სასულიერო მოძღვარი გახდა. ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტმა და სოციალური და ჯანდაცვის სამინისტრომ, ორივემ უარი განაცხადა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, სანამ ეს მოთხოვნა ადმინისტრაციულ სასამართლოს არ გადაეცა. ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტი დაემორჩილა სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ პიროვნების ალტერნატიული შრომითი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

მას შემდეგ, რაც საქართველომ 18 წლის წინათ დამოუკიდებლობა მოიპოვა, სომხური სამოციქულო ეკლესია პრეტენზიას აცხადებს ამჟამად უმოქმედო 6 ეკლესიის მფლობელობაზე. საკამათო საგნად გამხდარი ეს ეკლესიები სახელმწიფოს საკუთრებაშია. მთავრობის პოზიცია ასეთია, რომ საკითხი მთავრობის, სომხური სამოციქულო ეკლესიისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კონსენსუსით უნდა გადაწყდეს.

2009 წლის თებერვალში, სახალხო დამცველის ოფისმა დაადასტურა, რომ თბილისის 'სიცოცხლის სიტყვის' ეკლესიის კარი დაცხრილეს. გამოძახებული იქნა პოლიცია და ოფიციალურად აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აზრით, პოლიციის ოფიცრის მიერ გაკეთებული კომენტარი, რომ ეს საქციელი "ეკლესიის მრევლის ვიღაც უკმაყოფილო წევრებმა" ჩაიდინეს, შეუფერებელი იყო და სახალხო დამცველმა ეჭვი გამოთქვა, რომ საქმის გამოძიება სათანადოდ წარიმართებოდა.

ნაწილი IV. აშშ-ის მთავრობის პოლიტიკა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობაში, რელიგიურ თავისუფლებას განიხილავს, როგორც მისი ზოგადპოლიტიკური კურსის ნაწილს, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა ზრდის ხელშესაწყობად. აშშ-ის საელჩოს ოფიციალური პირები, ელჩის ჩათვლით, რელიგიური თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხვდებოდნენ პარლამენტის წარმომადგენლებს, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც რელიგიური თავისუფლების საკითხებზე მუშაობენ.

რელიგიური შემწყნარებლობის წახალისების მიზნით, აშშ-ის საელჩომ რამდენიმე პროექტი დააფინანსა, რომლებშიც შედიოდა სამეცნიერო-საკვლევო გრანტები, ვიზიტორთა პროგრამების პრეზენტაციები და თვალსაჩინო გამომსვლელთა/სპეციალისტთა სალექციო პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა. 2006 წლის ივლისში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაიწყო ოთხ-წლიანი, 2.7-მილიონ დოლარიანი პროექტის დაფინანსება, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მოქალაქეებს შორის ეროვნული ერთიანობის თვითშეგრძნების ზრდას მთავრობის დახმარების გზით, რათა ჩამოყალიბდეს ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერგაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმა, რომელიც საშუალებას მისცეს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, რომ ეფექტურად იმსჯელონ და გადაჭრან ის სხვადასხვაგვარი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მრავალეთნიკური და მრავალსარწმუნოებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან. თუმცა ეროვნულ უმცირესობათა ამ პროცეში ჩართვა ზემოაღწერილი საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს, სარწმუნოებათა შორის შეეშენარებლობის ხელშეწყობა-ზრდა ამ საქმის მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროექტი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას, სწავლასა და წვრთნას კულტურული განსხვავებების დარგში; ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილია მცირე გრანტები; პროექტი ასევე დახმარებას უწევს საზოგადოებრივი ტელევიზიის ყოველკვირეულ თოქ-შოუს და სხვა გადაცემებს, რომლებიც ინტეგრაციისა და შემწყნარებლობის საკითხებს ეძღვნება და რომლებშიც ცნობილ რელიგიურ მოღვაწეებს მიუღიათ მონაწილეობა.